სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის მონაწილეებსა და სტუმრებს

გუშინ
მოსკოვში
საზეიმოდ
გაიხსნა
სსრ კავშირის
ხალხთა VIII
ზაფხულის
სპარტაკიადა

•

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულთბილად მიესალმებიან სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაზაფხულო სპარტაკიადის მონაწილეებსა და სტუმრებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, არტისტის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობით ხაზოგადოების მუშაკებს, ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს.

სსრ კავშირის ხალხთა ბაირაკიდან დიდი მოკლონაა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს არის არა მარტო ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში სსრ კავშირის მთელე ხალხთა მიღწევების დათვალიერება, არამედ შეობრა და ჭეშმარიტ თავდაცხადოების მთა მშაფიერების, ინტერნაციონალური მეგობრობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მკაფიო დემონსტრაციაც, ახალგაზრდობის, ხალხმანაზის და ქალაქების დღესასწაული.

სსრ კავშირის ხალხთა ბაირაკიდან კვლავ დაადასტურა საბჭოთა სპორტის წარმატებანი, მაგრამ ხულ უფრო მზარდი როლი სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს შორის მშვიდობის, ურთიერთგაგების, მეგობრობისა და ამხანაგობის კნიდნი ბრძოლისის განმტკიცებაში.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ფიზიკური კულტურამ და სპორტმა უნდა უზრუნველყონ ფიზკულტურული მოძრაობის მთავარი ამოცანის შესრულება — ხაბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის ყოველმხრივ განმტკიცება, მათი შრომისუნარიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდება, ხაბჭოთა წმიდათაწმიდა ხაზღვრების, სოციალისტის მონაპოვართა დაცვისათვის სამხედრო-ტექნიკური ცოდნისა და ჩვევების დაუფლება, მაღალი ზნეობრივი და ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბება, ჯანმაგი და ხალხიანი მოსარჯი თავისუფალ დროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ ფიზკულტურელები და სპორტსმენები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

ვუსურვებთ სსრ კავშირის ხალხთა VIII ხაზაფხულო სპარტაკიადის მონაწილეებს ბედნიერ ცხარებს, მაღალ სპორტულ შედეგებს, ახალ რეკორდებსა და გამარჯვებებს, აქტიურ მონაწილეობას ოლიმპიურ მოძრაობაში, წარმატებებს შრომაში და სწავლაში.

ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლეთ ფიზკულტურული მოძრაობის მსახრობად! ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდებას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ინტერნაციონალურ ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას — ჩვენი საზოგადოების ძალის ცხოველმყოფელ წყაროს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

საბჭ. ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 142 (7453) 24 ივლისი, კვირა. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

ЛЕЛО

აღმოსავლეთ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სპორტის, ახალგაზრდობის, მეგობრობის დღესასწაული

ლამაზადა მორთული ჩვენი ქვეყნის მთავარი სპორტული არენა — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, რომელის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა და მსოფლიო სპორტის ისტორიის მრავალი სახელოვანი ფურცელი. 23 ივლისს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადის — სპორტის, ახალგაზრდობის, მეგობრობის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ფინალური შეჯიბრება. სპორტსმენად — ყველაზე მასობრივი შეჯიბრება — კვლავ ცხადყოფს საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის ერთიანობასა და შეკავშირებას, რომელშიც აღნიშნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავი.

საბჭოთა და მსოფლიო სპორტის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ხდება ჩვენი ყოველი სპარტაკიადა. ოთხი წლის წინათ გამართული VII სპარტაკიადა წინ უძღოდა XXII ოლიმპიადის ახპარეზობას, რომელმაც საყოველთაო აღიარებით, შთამბეჭდავი წარმატებით ჩაიარა. მოსკოვის ოლიმპიურმა სპარტაკიადა ახალი ბიძგი მისცეს მასობრივი სპორტის განვითარებას. საბჭოთა ადამიანებს მთააგონებენ უდიდესი უურადღება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში სპორტული მოძრაობის განვითარებისადმი იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ", სკკ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის ისტორიული დადგენილებანი ქვეყნის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის საპროგრამო მიმართულებაა.

სტადიონის გიგანტურ თასში თითქმის ცისკრიდანვე აელვარდა საბჭოეთის ყველა მოკაშკაშე რესპუბლიკის, სპორტული საზოგადოებების, საზღვარგარეთის სახელმწიფოების დროშები. პანორამა, ალაპტები, ტრანსპარანტები ასახავენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მიღწეულ წარმატებებს.

სანერძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი ამხანაგებს პ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, გ. ვ. რომანოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. ვორობიოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ნ. ი. რიჟკოვს, კ. ვ. რუსაკოვს.

დღესასწაულის სპატიო სტუმრებს შორის არიან საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანები, სახელგანთქმული ჩემპიონები, წარმოების მოწინავეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ტრიბუნებზე არიან მოსკოვში ჩატარებული მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სპორტსმენობის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხ. ა. სამარანში, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, მრავალი ქვეყნის სპორტის მინისტრები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტები.

გაისმის ჩვენი სამშობლოს მოხმობის ნიშნები. რეკენ ქრემლის კურანტები, სტადიონის მინდორზე სპორტსმენები გამოსახავენ ციფრს VIII.

ფერად-ფერადი აღმებით ერთერი ტრიბუნაზე შექმნილ მხატვრულ ფონზე მთელ მსოფლიოში ცნობილი სიმღერის — „კატიუშას" ხმაში ჩნდება ქალიშვილის გამოსახულება, რომელიც არჩეულია ახლახნდელი სპარტაკიადის დიპლომატიურ, სპეციასპწავლო სექტაკლის მთავარ პერსონაჟად. ნაწნავად შეკრული ქერა ობა ატიუშას, სარაფანში გამოწყობილ და თავსაფარა წაუყრავს. იგი თოჭის ტრიბუნიდან ჩამოდის სტადიონზე და ცეკვაში ერთვება.

მინდერიდან გადიან მოკაკვები და მკაერი, სულისშემძვრელი ჩხუბი შეხვირებები აღწერს დიდი სამოქალო ომის პერიოდისა წლებს. მხატვრულ ფონზე ისევ ვხედავთ კატიუშას, მაგრამ ახლა მას გიმნასტური აქვია და პილოტური ახურავს თავზე.

ჯარისკაცებს მოეგებნენ გამოაქვთ დიდებით მოისეი, შეტაკებათა ქარცეცხლში გამოკაზრებული სპორტსმენ დროშები. მოტიკულების ესპორტიკი მოდის ჯავშნტრანსპორტიორი, რომელზეც გამოსულან სპორტსმენები, რომელნიც ეკლარიონის ომ

სპორტის, ახალგაზრდობის, მეგობრობის დღესასწაული

დასასრული

კრებსით კოლონას. მათ მოაქვთ 56 ქვეყნის დროშები, რომლებიც თავიანთი ათლეტები გამოუხვნენ სპორტსკაფანდრებში. მეკობრობის მასპინძლებთან ერთად ისინი ეხლრაფიან ახალ სპორტულ მწვერვალებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სპორტსმენტების თავმჯდომარეს მ. ვ. გრიშინს. თავის გამოსვლაში მან დიდი მადლობა მოახსენა პარტიასა და მთავრობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისადმი უურადღებისა და ზრუნვისათვის, ჩვენზე, თქვა მან, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი. ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები შესრულდება.

სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები გახსნილად ცხადდება.

რესპუბლიკების გუნდების წარმომდგენელ სპორტსმენთა ჯგუფს სტადიონზე შემოაქვს სსრ კავშირის დროშა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ იგი ნელა მიიწევს ზემოთ ფლაგშტოკზე.

ოლიმპიურ მოძრაობაში საბჭოთა სპორტსმენების დამსახურების აღიარების ნიშნად სპარტაკიადაზე მოიტანეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშა. ხუთ რგოლის გამოსახულებიანი თეთრი ტილო, ისევე როგორც მაში წელის წინათ, აღიმართა ფლაგშტოკზე.

სტადიონის ელექტრონულ-ხატლევიზიო ტაბლოზე ვხედავთ ყველა საბჭოთა ავტონომიისათვის წმიდათაწმიდა ადგილს — კრემლის გალავანთან უცნობი ჯარისკაცის საფლავზე დანთებულ ხანძარს. ამ ცეცხლიდან, ეპრუთვე დედაბლაქის ქარხნის „სერპ ი მოლოტის" მარტენის ღუმელის ალიდან ანთეს ორი ჩირაღდანი, რომლებიც სტადიონზე შემოიტანეს ოლიმპიადა-80-ის ჩემპიონებმა ლუჭნიკ კონდრატიევმა და ნიკოლაზ სიდოროვმა. ისინი ადიან თანამედ და ანთებენ სპარტაკიადის ცეცხლს, რომელიც ნ ავკისტოსთვე იგიზგიზებს. არის მაღალი ბაჩი იმაში, რომ ამ ცეცხლში გაერთიანებუა ორი ალი — საბჭოთა ხალხის სპარტაკიადა და შრომითი ვმორების სიმპოლოები.

ტელეტაბლოზე ცოცხლდება ისტორიული კადრები. მათ გადავეკვართ ოლიმპიაში, სადაც ანტიო მოსკოვის ოლიმპიადის ცეცხლი. სახელგანთქმული ბერძენი მსახიობი მარია მოსკოლიუ, რომელსაც გულთბილად მიესალმებიან დამსწრენი, და რომელიც ტრადიციისამებრ ანთებს ხოლმე მზის სხივებისაგან ოლიმპიადების ცეცხლს, მინდორზე ვამოდის თეთრ მტრედით ხელში. მტრედი მოსკოვის — მშვიდობისა და მეგობრობის დედაქალაქის ცაში აფრინდა.

საბჭოთა სპორტსმენები უცილობლად არიან მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლთა პირველ რიგებში. სწორედ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში იიღო სტარტი მოსკოვი — ვამინგრონის მშვიდობის ველორბოლამ, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის კეთილი ნების წარმომგზავნელები. დღევანდელ „ბილების ზღვა — მშვიდობის ზღვაზე" გაიმართა ამას წინად საყრელისო იახტების რეგატა. მასში წარმატებით მონაწილეობდნ ფინელი და საბჭოთა სპორტსმენებისგან შემდგარი საერთაშორისო ეკიპაჟი.

სტადიონზე გაისმის სიმღერა „თუ მთელი მსოფლიოს ჰპატენი ერთად..." სიმღერა აიტაცეს სპორტსმენებმა, დღესასწაულის ყველა მონაწილემ: ერომანიის შესახვედრად მიემართებიან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები — ბატონ ლუდვმას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც გასახიერებენ ლუანეის ახალგაზრდობას, და საბჭოთა ქალაქებიდანა და ჭაბუკების ჯგუფი, რომლებიც განასახიერებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხალხს. ისინი ერთ ჯგუფად ერთიანდებიან და ხელიხელგადაჯეფულნი მღერიან. სტადიონზე გაისმის შეძახილები: „სპორტი — მშვიდობა — მეგობრობა!".

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გამართული მხატვრულ-სპორტული დღესასწაული გახდა ამაღელვებელი მანიფესტაცია ახალგაზრდობის, ძალისა და ჯანმრთელობის, ინტერნაციონალური მეგობრობისა ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ. (საქინი).

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა

ფინიშის სწორზე

—„სპარტაკიადა ფინიშის სწორზეა", —ასე განაცხადა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებისათვის (ასეთი კი მოსკოვში 1000-ზე მეტი შეიკრიბა) გამართულ პრესკონფერენციაზე დიდ პრესცენტრში, ზუბოვის ბულვარზე, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მარატ გრომოვმა. დიახ, უკვე დამთავრებულია დიდი საბჭოთა სპორტული ფორუმის პროგრამის მესამედი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად სახეგარეთელნი ათლეტებიც გამოვიდნენ. მოსკოვის სპორტულ ბაზებზე ფრიალებს 56 ქვეყნის დროშა; მსაჭთა კორპუსში მასპინძლებს და ოთხ ათეულზე 150 უცხოელ არბიტრს, სპარტაკიადის ფინალში 14,5 ათასი მონაწილეა; სპარტაკიადის წინასწარ ეტაპებზე 95 მილიონი კაცი გამოვიდა სტარტზე; უკვე დაყარეთ მრავალი რეკორდი — 2 მსოფლიოს, 6 საკავშირო, 54 სპარტაკიადის, 161 მოკავშირე რესპუბლიკების. სპარტაკიადის მასპინძები საბჭოთა სპორტსმენთან ერთად გახდნენ გერ-ის, ბულგარეთის, კუბის, ეთიოპიისა და ნიგერიის თათლეტები. ყოველივე ეს ჭერსკონფერენციაზე უთწყეს ჟურნალისტებს.

ავრეთვე ცნობილი გახდა სპარტაკიადაზე მოკავშირე რესპუბლიკების დღეების ჩატარების გრაფიკი (ამიერკავკასიის რესპუბლიკების დღე დანიშნულია 1 აგვისტოს), ჟურნალისტებს აუწყეს, რომ 24 ივლისს ოლიმპიურ სოფელში წარმოგვანილი იქნება დიდი მხატვრულ-სპორტული პროგრამა „ჩვენი ოცნების ხმელთაში" (კამოვი ჩვენი ნათამამოლე თაობ გვერდწყვილიც), კინოოპერატორ ლატიანოვი" საზეიმო გაიხსნება სპორტული ფილმების ფესტივალი (აჩვენებენ 100-ზე მეტ სურათს), ხოლო დღეს ცენტრალურ საგამოცემო დარბაზში გაიხსნა საკავშირო მხატვრული გამოფენა „ფიზკულტი კულტურა და სპორტი სახეთ ხელოვნებაში" (800 ავტორის 1000-ზე მეტი ნაწარმოები).

მ. გრამოვმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

...სამაგალითო სინქრონული ცურვის ისტორია სულ რამდენიმე წელიწადის ითვლის: პირველი ოფიციალური საკავშირო შეჯიბრება 1979 წლის მარტში გაიმართა მოსკოვის მახლობლად, ქ. ელექტროსტალში. ზუსტად სამი წლის შემდეგ სპორტკომპლექს „ოლიმპიურის" საცურაო აუზში (სწორედ აქ მიიწერებოდა წლევანდელი სპარტაკიადის ტურნირი) ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება ცურნალ „სოვეტსკაია ველშინას" პრიზზე. დღეს სინქრონული ცურვის ოსტატები პირველად გამოდიან ხალხთა სპარტაკიადაზე, ასევე პირველად იყო შეტანილი იგი III საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში. სპორტის ეს ახალი სახეობა იქნება მომავალის, XXI ოლიმპიადის პროგრამაში.

და გასაკვირია, რომ სპორტის ამ საინტერესო სახეობას ჯერჯერობით სულ რამდენიმე რესპუბლიკაში მისდევენ (მათ შორის საქართველოშიც) და სპორტაკიადაზე მხოლოდ 8 გუნდი გამოვიდა. აუზში სულ 29 მონაწილე ვიხილეთ.

პირველ დღეს სპორტმცენები გამოდიოდნენ სავალდებულო პროგრამით. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ელიტაში ცალფენენ „ლომეურნეს" წვეროში, პირველ-თანრეგორსები — 16 წლის ხანა პატარაია და ტუფაში — 19 წლის დინარა და მარინა ლარინეები. დინარამ 72,61 ქულა მოაგროვა, რაც XI შედეგი იყო. მისი და მე-19 ადგილზე აღმოჩნდა (68,18), ხოლო პატარაია — 23-ეზე (65,78). ლიდერობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეხი ბადო ევროპას ჩემპიონატის მონაწილეებმა, III ახალგაზრდული სპორტული თამაშების ჩემპიონმა, მოსკოველმა ირინა პოტოროვინამ — 90,20 ქულა.

პაპარუზის მეორე დღეს, ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობა მარინა ლორინამ 72, 60 ქულს მოუყარა თავი და სართინ ჯამში 140, 73 ქულით მე-12 ადგილზე გავიდა. ნ პატარაია მას ორი საფეხურით ჩამორჩა —134, 38. პოტოროვინამ ამ დღეს 88, 60 ქულა მოაგროვა და კიდევ უფრო გამიმტკიცა ლიდერობა. მან ფინალში 8 საუკეთესო სპორტსმენს შორის მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ამ დღეს წყვილთა ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრების წინასწარი ტურნირი გაიმართა. იგი დამაჯერებლად მოიგეს პოტოროვინამ და ელენა ოსიპოვამ — 178,30. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს დღეს ლარინეს მეექვსე შედეგი აქვთ (146,77) და ახლ ისინიც ფინალში ასპარეზობენ.

ო. ნოზაძე.

● ძიუდო სპარტაკიადის „ვერცხლი" და ჩემპიონატის „ოქრო"

ბილოდ საქების სიტყვების იმსახურებს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების გამოსვლა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. გუნდი (მთავარი მწვრთნელი — ღ. ხუბუღანი) მართლაც შესანიშნავად მოემზადებული და მთელი ჩვენი სპორტული ღელვა-ტკივილის უთუოდ მაგალითად უნდა იქცეს. ასეთი თანადგომა, თანაგრძნობა კარგა ხანია არ გვინახავს. ბიჭები დილიდან საღამომდე — ვარჯიში იქნება, დასვენება თუ შეჯიბრება — ერთად ირიან, ერთმანეთს ამხნევებენ. მწვრთნელები ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

თქმა არ უნდა, ასეთი წარმატება მოსალზადებელ პერიოდში კარგა ხელშეწყობასაც განაპირობა. უკანასკნელი ეტაპი გუნდა ვიზაში გაიარა. ეს ერასულოვსად ამბობენ, რომ გორგილებმა დიდი ამაგი დასდეს საქართველოს ნაკრებს, ეროვნულ საქმედ გაიხადეს გუნდის მომზადება. ამ ყურადღების, ამ სიყვარულს არ შეიძლება საყოფი არ გამოეღო.

დამთავრდა ასპარეზობა 6 წონით ქატეგორიაში და საქართველოს ნაკრებს უკვე 202,5 ქულა ჰქონდა, 145,5 მეტი მოაგროვა რსფსრ-ს გუნდმა. მართალია, მთლიანი ორ ღიღე ქულა ერთმა ჩვენმა სპორტსმენმა (ზაზიკ ბერეკაშვილი — ამსოლუტური) ვიხილეთ, მაგრამ ეს ალბათ ხელს ვერ შეუშლის ქართველ ძიუდოისტებს სამოლიო გუნდურ გამარჯვებაში. თუ დარჩენილ ორ ჯიხურში ჩვენი მეტოქენი ორ „ოქროს" მოიპოვებენ, მ. ბერკაშვილის V ადგილიც კი საკმარისი იქნება ამისთვის.

ახლა 65 კგ წონის ძიუდოისტთა ორთაბრძოლებზე მოვახსენებთ. ამ წონაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსეული რაჭას მარგველანი იცავდა. მისი მეტოქეებნი ხან მარტო ოლიმპიური ჩემპიონის ნ. სოლოდუხინის დასახელებაც კმარა, თუმცა, ბალზე ძნელ მეტოქეთა რიცხვს მიეკუთვნენ ჩვენ საერთაშორისო კლასის სპორტოსმენები ა. გეოზდოვი, ფ. მარკიანი (ბულგარეთის) და ხელით ასპარეზობს), ეერთხელ ჩვ: მპონი ახალგაზრდები შორის, ლენინგრადელი ი. სოკოლოვი და სხვებიც, რადგან სპარტაკიადაზე, რომც მოინდომო, იოლ მეტოქეს ვერ ამოვი.

შეიძლება ითქვას, რომ რაჭაზე თავიდანვე არ გვიმართლა — ზემდეტი შეხვედრის გამართვა მოუხდა. იგი პირველ ორთაბრძოლაში მარგველანმა „ვაზარი" დაამსხვრია ლიტველ რ. შპრატთან. მეორე წრეში აწმაბადილი ბ. ოდაევი დაამარცხა (ისევ „ვაზარით") და კიმნიოველ ა. კოლინს შეხვდა. მანამდე კოლინმა ფ. ბარგანსს მოუგო, ორთაბრძოლის დასაწყისში მარგველანმა კისრულით წამოიღო მტეორე. მსაჯმა „ვაზარით" შეაფასეს ეს იღონი, რაც საფესტივალო საკრანი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. რაჭაზმა ფინალში გასასვლელ შეხვედრაში ისევ კარგად იქნდება, შეშოყა ლენინგრადელი მ. ნაცარაშვილი (არმიაში მსახურობს) და ვერცხლის მედალი გაიხადა მეორე ქვეკვეფინალში ფინალისტმა ნ. სოლოდუხინმა და ბრძოლა ნახევარფინალში ვერ გაუძლო ბულგარეთის ნაკრების ლიდერს ა. გეოზდოვს.

ნახევარფინალში ჩვენ გუნდის ყველაზე ტიტულოვან მოჭიდავეს, ქვეკვეფინალში ბოლო შეხვედრა ჩაჭიდა ჩასატარებელი ვლადიმერ მოდოსიანთან (რსფსრ) და წარმატების შემთხვევაში მთავარ ფინალში გადიოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს შეხვედრა დამაბოლოვი გამოდგა. საფინალო სასჭიკუნთდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა. მეტოქეებმა კი ტექნიკური ქულის ღირსი ვერ მოახერხეს. ამ შეხვედრაში, წესების თანახმად, მსაჯმა ერთერთი მოქიდავე უნდა მოხსნას შეჯიბრებიდან. რატომღაც, თვალი დაადგა მაკასარაშვილს, რომელიც გაცილებით აქტიური იყო. 10 წამის განმავლობაში მაკასარაშვილმა ზედიზედ ორი გადრხნილება მიიღო, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ბოლო გაფრთხობება მაშინ მისცეს, როცა შეხვედრის დამთავრებამდე 2 წამლა რჩებოდა. დაიწერა ხარტეტერი, რომელიც განიხილა საველეთო ფოჯრმა. ხალხის ხელმდგომელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე მეფიდით და მსაჯთა ბრიგადა არაკვალიფიციურობისა და არაობიექტურობისათვის მოხსნეს შეჯიბრებიდან, მაგრამ შეხვედრის შედეგი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუნდური ჩათვლისათვის, უცვლელი დარჩა. ასპრეზო ადგილებისთვის მებრძოლ კოლეგტივებს შორის ისეთი ინტრიგიც იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში სპარტაკიადის ნაკრები ტიტულის დაკარგვაც შეიძლებოდა.

მაკასარაშვილი ქვეკვეფინალში ადგილზე დარჩა და ბრინჯაოს მედლისთვის ლენინგრადელ ოსტატებიც დეპრივეს შებრძა. ჩვენი ფალავანი პირველსავე პერიოდში ორი ქულით დაწინაურდა, ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა, გაიმარჯვა და საბოლოოდ III ადგილი დაიკავა.

შეკიბრების დამთავრებისთანავე ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ლ. მესტიაკრაშვილს:

— დასაწყისი ამოცანა შევასრულეთ, მაგრამ როგორც თვით შეჯიბრების მსვლელობამ გვიჩვენა, უკეთესი ადგილისთვის მეგვეძლო ბრძოლა. ჩვენს მოჭიდავეებს თავი არ დაუჭნებიათ, ბოლომდე ვაქცენტრად იბრძოდნენ. განსაკუთრებით ვიგვანარ 17 წლის ეროა მუსოიანმა, რომელიც მზატე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. მუსოიანისთვის ეს იყო დებიუტი დიდ საბრძოლო. გამოუცდელობა რომ არა, ალბათ ფინალურ შეხვედრასაც მოიგებდა. მისი წარმატება რომ შემთხვევით არ იყო, ეს საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრებმაც დაადასტურა. აქ მუსოიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ტარიელაძეს III ადგილს ვუგეგმავდით. მან ბრწყინვალედ იჭიდავა ქვეკვეფინალში ვაჟა კოტარაშვილი (74 კგ), რომელმაც VI ადგილი დაიკავა და გუნდს ხასპოლიელი ქულები შესძინა.

ე. ჯერიაშვილი.

გუნდური შედეგები თავისუფალ ჭიდაობაში

რსფსრ	278
მოსკოვი	193
უკრაინა	187
საქართველო	175
უზბეკეთი	148
ბელორუსია	145

● თავისუფალი ჭიდაობა

„მეცხრედან" — მეოთხეზე

ორი „ვერცხლი" და ერთი „ბრინჯაო", გუნდური IV ადგილი — ასეთია საქართველოს თავისუფალი ტრადის მოჭიდავეთა ხალვათი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. თუ ამ შედეგს წინა სპარტაკიადის მაჩვენებელს (გუნდური IX ადგილი და არც ერთი პრიზიორი) შევადარებთ, პროგრესი აშკარაა. ჩვენმა ფალავნებმა თითქმის ყველა წონით კატეგორიაში ჩასათვალისწინო ქულები მოპპოვეს და, რაც მთავარია, კარგი მომზადება და გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინეს. ბაქოს უფროსმა მწვრთნელმა ლადო მესტიაკრაშვილმა და მისმა კოლეგებმა მოსაზღვრეო პერიოდში სერიოზული მუშაობა ჩაატარეს, რამაც, ბუნებრივია, შედეგი გამოიღო.

ჩვენ უკვე უწერილი სოხუმელი ეგიო მუსოიანის (52 კგ) წარმატებაზე. მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. შეკრიბების დროს მეც ვიმყოფებოდი ბაქოში და ვნახე, რა ძნელი ფალავნებმა კიდევ ორი მედალი დაიმსახურეს — ჭელო ტარიელაძემ (+100) — ვერცხლი, გიორგი მაკასარაშვილმა (82) — ბრინჯაო. ტარიელაძემ წინასწარ შეხვედრებში საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა და რამდენიმე ფავორიტი ჩამოცილა გზიდან. როგორც „ლელოს" პიოთხელებმა იცოან, ფინალში მისი მეტოქე იყო მოსკოველი ს. ხასმაკოვი. ამ მოჭიდავეს არც გამიცდელება აკლია და ეროპის ჩემპიონატზე კი სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალჯერის ჩემპიონია და ამ წონაში ახლა მაღალი ა რ ჰყავს. ფინალურ შეხვედრაში მომჯობინა ქოფას შეძლო და ვერც ტარიელაძემ. მსაჯმაც მიიჩნიეს, რომ მოსკოველი უფრო აქტიური იყო და მე-5 წუთზე ტარიელაძე მოხსნეს ორთაბრძოლიდან. მაგრ ტარიელაძის კლასე უჩანს სპორტელზე, აჭრეთვე საკადრო ჩემპიონატის ნახევარფინალში. აქ ჩვენმა ფალავანმა დაამარცხა ა. ზახვიევი (რსფსრ) და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სამწუხაროდ, ჩვენ კლასე გვიხდება საუბარი არაობიექტურ მსაჯობაზე. მაკასარაშვილის ტურნირზე მოხდა ინციდენტი, რომელმაც დიდი მოქმედ-მოთქმა გამოიწვია. 82 კგ წონის მოჭიდავეები ამთავრებდნენ წინასწარ შეხვედრებს. გორგი მაკასარაშვილს, ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულოვან მოჭიდავეს, ქვეკვეფინალში ბოლო შეხვედრა ჰქონდა ჩასატარებელი ვლადიმერ მოდოსიანთან (რსფსრ) და წარმატების შემთხვევაში მთავარ ფინალში გადიოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს შეხვედრა დამაბოლოვი გამოდგა. საფინალო სასჭიკუნთდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა. მეტოქეებმა კი ტექნიკური ქულის ღირსი ვერ მოახერხეს. ამ შეხვედრაში, წესების თანახმად, მსაჯმა ერთერთი მოქიდავე უნდა მოხსნას შეჯიბრებიდან. ისევ მაკასარაშვილი აირჩიეს. ამ გადაწყვეტილებამ ბევრი ეჭვი გააჩინა. ბაქოში ამბობდნენ, რომ ეს ერთგვარი შურისძიება იყო ბაქოელი მსაჯების მიმართ, რომლებიც ხშირად ცდილობენ ხოლმე ადგილობრივი მოჭიდავეების ხელშეწყობას. ეს ეჭვი ნაწილობრივ გამართლდა კიდეც, რადგან ფინალში მაკასარაშვილის მეტოქე ბაქოელი ა. ალიევი გახდა. ალიევმა ფინალში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ბრინჯაოს მედალი მაინც მოიპოვა.

ასეთი ინციდენტი ნამდვილად არ უნდა მომხდარიყო. ეს ხომ ფესტივალია, ხალხთა სპარტაკიადა, სადაც ყველა ერთმანეთის მეგობარი უნდა იყოს. ეს ინციდენტი ნამდვილად არ შეუწყობს ხელს ჭიდაობის განვითარებას.

ნ. ბერიძე.

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა

● ვაჟრაკი

5 „ოქროს“ ქულით...

როგორც ვთქვეთ, დიდ ინტერესს იწვევდა მოჭადრაკეთა სასპარტაკიადო წინასწარი შეჯიბრების „ა“ ჯგუფის დასკვნით, V ტურში გადადებული პარტიების შედეგები, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თუ ვინ მიიღებდა ფინალის ორ საბეჭის, რსფსრ-ს, საქართველოსა თუ სომხეთის გუნდები.

რსფსრ — საქართველოს ნაკრებთა შეხვედრაში ყველა 8 პარტია გადადებული იყო. თამაშის განახლებისას თ. გიორგაძემ მოუგო ლ. პოლუგაევსკის, გ. ხაინდრავა — ვ. ცეპკოვსკის, ნ. გაფრინდაშვილი — ვ. კოზლოვსკაის, ყაიმით დამთავრეს შეხვედრები ზ. აზმიფარაშვილმა ე. გელერთან, ე. უბილავამ — ი. რაზუვაევთან, ზ. ხუციშვილი — ა. ბანჩენკოსთან, შ. ჩიბურდანიძემ — ე. ახმილოვსკასთან. ე. გუფელი დამარცხდა ე. სვეშნიკოვთან. ამ რიგად, ეს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი საქართველოს გუნდმა მოიგო — 5:3. ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა სომხეთის ნაკრებმა ესტონეთის გუნდთან.

„ვ“ ჯგუფის ტურნირი ასე დამთავრდა: I. საქართველო — 18,5 ქულა, II-III. სომხეთი, რსფსრ — 18-18, IV. ბელორუსია — 15, V. ესტონეთი — 10,5.

ფინალში გავიდნენ საქართველოს და სომხეთის მოჭადრაკეები. ამ უკანასკნელებს უპირატესობა მისცა იმან, რომ ერთი შეხვედრით ეტი მოიგეს, ვიდრე რსფსრ-ს ნაკრებმა. რა თქმა უნდა, დიდოსტატებისაგან შემდგარი რსფსრ-ს გუნდის ფინალის მიღმა დარჩენა ნამდვილი სენსაციაა. მსგავსი წარუმატებლობა მას არ ახსოვს.

ის, როგორ დამთავრდა V ტური შეხვედრები „ა“ და „ბ“ ჯგუფებში.

„ა“ **ჯგუფი:** აზერბაიჯანი — უკრაინა 3,5:4,5, ყირგიზეთი — მოლდავეთი 4,5:3,5, ლატვია — თურქმენეთი 7:1. I. უკრაინა — 27, II. ლატვია — 26,5, III. აზერბაიჯანი—23, IV. მოლდავეთი — 19, V. ყირგიზეთი — 18,5, VI. თურქმენეთი — 9,5.

„ბ“ **ჯგუფი:** ლიტვა — მოსკოვი 2,5:3,5, ყაზახეთი — ლენინგრადი 2:6, უზბეკეთი — ტაჯიკეთი 6:2. I. ლენინგრადი — 26,5, II. მოსკოვი — 25,5, III. ყაზახეთი — 22, IV. უზბეკეთი — 19,5, V. ლიტვა — 18, VI. ტაჯიკეთი — 8,5.

ფინალში გასულ გუნდებს თან გაჰყვათ ერთბაშეთან შეხვედრის შედეგები.

ფინალური I-VI ადგილებისთვის ჯგუფის წილსყრა: 1. ლატვია (გადმოსული 4 ქულა), 2. მოსკოვი (5), 3. საქართველო (5), 4. სომხეთი (3), 5. ლენინგრადი (3), 6. უკრაინა (4).

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა წარმატებით შეასრულა „პრობარამინიები“ — ფინალში გავიდა. ამ მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოჭადრაკე ქალებმა (5,5 ქულა) და ვაჟებმა (13). აი, ჩვენი გუნდის თითოეული წევრის მედეგი: ი. გიორგაძე — 2 ქულა (4-დან; დაფაზე დაიკვეთა II ადგილი), ბ. გურგენიძე — 0 (1-დან); ზ. აზმიფარაშვილი 2,5 (4-დან; I), გ. ხაინდრავა — 2,5 (4-დან; II), ე. უბილავა — 1,5 (3-დან; III), ზ. ხუცურავა — 3 (4-დან; I), მ. ჩიბურდანიძე — 2 (4-დან; II), ნ. გაფრინდაშვილი — 3,5 (4-დან; I), სათადარიგო ე. გუფელი — 1,5 (4-დან; II).

გუნდის ფინალისტები ბრძოლას შეუდგნენ. გიმიშოთა II ტურის შეხვედრები (1 ტურად ჩაითვალა წინასწარ ტურნირებში გათამაშებული მატჩების შედეგები).

საქართველოსა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრაში დაწინაურებულ ჩვენ მოჭადრაკეები — 3.2 (3).

კვლავ ჩინებულად ითამაშა ზ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც ოსტატ ე. ბისტრიცკოვას მოუგო. ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა. ბ. გურგენიძე დაუზავდა დიდოსტატ ა. კორიკუს, მ. ჩიბურდანიძე — ი. ლევინოსთან. ცხარე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ზ. აზმიფარაშვილი — საერთაშორისო ოსტატი ლ. იუდასინი და გ. ზაინიკი — საერთაშორისო ოსტატი ა. ლუკინი.

სამი პარტია დადებით თამაშობით შეწყდა ი. გიორგაძისა და დიდოსტატ ვ. დამპასიუს შეხვედრა. ე. უბილავას ოსტატ ა. ეროშენკოსთან ოსტატ ვ. ცეიტლინთან ყაიმის რვალერი შანსს იხარჩენებს.

სომხეთის გუნდის ლიდერმა რ. ვანანიანმა კარგი სტილით მოუგო უკრაინის ნაკრების თავკაცს ა. ბელიავსკის. დანარჩენი პარტიები დადაიდა.

ლატვიისა და მოსკოვის გუნდების შეხვედრის ანგარიში 3:3. 2 პარტია გადაიღო. ყაიმით დამთავრდა ვ. ძაღ — ა. კარპოვის შეხვედრა.

დღეს, 24 ივლისს III ტური გაიმართება. ჩვენი მოჭადრაკეები ლატვიის გუნდს შეხვდებიან.

რ. თავაროვი.

● ფეხბურთი

დღეს ქვეჯგუფებში გადამწყვეტი მატჩებია

მოსკოვში, ტუალში, რიაზანსა და ივანოვოში გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფიფხბურთო ტურნირის წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში.

I ქვეჯგუფში. რსფსრ-ს ფეხბურთელებმა 22 ივლისს ანგარიშით 3:2 დამარცხეს ყირგიზეთის ნაკრები, ხოლო მოსკოვსა და ყაზახეთის გუნდების შეხვედრაში გამარჯვებული მოსკოველები — 1:0.

ამ ქვეჯგუფში ბოლო ტურის წინ, რომლის მატჩები გაიმართება დღეს, 3-3 ქულით დაწინაურებულან მოსკოველები და რსფსრ-ს გუნდები, ყაზახეთის ნაკრებმა მოგვრიან 2 ქულა, ყირგიზეთის ფეხბურთელებს კი ქულა არა აქვთ.

II ქვეჯგუფში. უკრაინელებმა საკმაოდ იოლად მოუგეს სომხეთის გუნდს — 4:0. ეჯიბრებიან ერთმანეთს ბელორუსიის და ესტონეთის ნაკრებები. ისინი თანაბარ ქულებს ფლობენ. ბელორუსიის გუნდმა 4 ქულით დაწინაურებულ უკრაინელი ფეხბურთელები. ესტონეთის ნაკრებმა ორ ქულა მოიპოვა. ამ ქვეჯგუფის ბოლო ტურის მატჩები დღეს გაიმართება.

III ქვეჯგუფში. ამ მონაწილეობა 5 გუნდი. 22 ივლისს ლატვიელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ ესტონეთის გუნდთან შეხვედრაში — 0:4. ბელორუსიისა და თურქმენეთის ფეხბურთელთა მატჩი დამთავრდა ბელორუსიელთა გამარჯვებით — 2:1.

6 ქულით წინაა ესტონეთის გუნდი. 4-4 ქულა დააგროვეს ლიტვისა და ბელორუსიის გუნდებმა, 2 — ლატვიელებმა. თურქმენეთის გუნდს ქულა არა აქვს.

IV ქვეჯგუფში. მოლდავეთის გუნდთან პირველ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ საქართველოს ფეხბურთელებს მეტად ძნელი შეხვედრა ჰქონდათ ლენინგრადელებთან. ჩვენმა გუნდმა ეს მატჩი დიდი ძალისხმევით ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. მოლდავეთმა მეორე გამარჯვება მოიპოვა ტაჯიკეთის გუნდთან შეხვედრაში — 2:1.

ქვეჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
მოლდავეთი	2	2	0	0	4—2
საქართველო	2	1	0	1	2—2
ლენინგრადი	2	1	0	1	1—1
ტაჯიკეთი	2	0	0	2	1—3

დღეს საქართველოს ფეხბურთელებს გადამწყვეტი მატჩი აქვთ ტაჯიკეთის ნაკრებთან. დღესვე თამაშობენ ლენინგრადისა და მოლდავეთის გუნდები. ქვეჯგუფის გამარჯვებული გამოვლინდება მხოლოდ ამ ბოლო ტურის შედეგებით შემდეგ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ თითოეული ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში ბრძოლას გააგრძელებს 2-2 გუნდი, IV ქვეჯგუფში კი სამმაო შანსები აქვთ მოლდავეთის, საქართველოსა და ლენინგრადის გუნდებს.

მაშ ახლ, დღეს ჩვენს ფეხბურთელებს ივანოვოში მეტად სასახსოვნებელი მატჩი აქვთ ნახევარფინალში გასასვლელად.

● კრივი

რინგის კვადრატზე

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა შეჯიბრების მეორე დღესაც საგრძნობი დანაკლისი განიცადა — კიდევ 4 სპორტსმენი გამოვიდა შეჯიბრებას. პირველ უმძიმეს წონაში (48 კგ) მოასპარეზე ცხინვალელი ი. გაიბოლოვიძა ქულებით წააგო მოსკოველ ა. ფილიპოვთან. ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს იყო თბილისელი ბ. სამხარაძე. იგი თითქმის ორი რაუნდის მანძილზე გაბუჭუჭებულ ტაჯიკეთის მეტოქეს, ყირგიზეთ სპორტსმენს ტ. შერშებაევს და ბევრი ეფექტური დარტყმაც მიაუნა. მაგრამ მეორე რაუნდის მიწურულს ბატონ წარბი დაუზიანდა და ექიმებმა ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცეს.

67 და 75 კგ წონით კატეგორიებში პრიორიტეტი სპორტსმენები ი. გოგოლაძე და გ. ეიმაძე ასპარეზობდნენ. ისინი თავიანთ მეტოქეებს არც ოსტატობაში და არც ტაქტიკაში ჩამორჩებოდნენ, მაგრამ მათი აჭელვებს ქულით ფიზიკური მომზადება გამოდგა. ჩვენმა მოკრივეებმა შეხვედრის მიწურულს ინიციატივა მეტოქეებს დაუთმეს, რასაც დამარცხება მოჰყვა.

რინგის ოსტატთა წინასწარ ბრძოლებში, რომელიც ხვალ დამთავრება, ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ოთხი წარმომადგენელი მიღებს მონაწილეობას.

გ. ჩიჩიშვილი.

● ძალოსნობა

რეკორდების მოლოდინში

ახალთახალ ფიცარნაგზე, რომელსაც ჯერ კიდევ ფიქვის სურნელი ასდის, პირველი გამოვიდა 52 კგ წონის მოლდაველი შტან-გისტი პ. ვარლამოვი. მან მხოლოდ მეორე ცდაზე აიტაცა 85 კგ და სამსაფო ტაბლიც წინა დაძლეულად ჩაუთვალა. ასე აიღო სტარტი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ძალოსანთა ტურნირმა, რომელიც 31 ივლისამდე გასტანს.

ასპარეზობაში 200-მდე საუკეთესო სპორტსმენი გამოდის, ყველაზე ძლიერი კი ეყოფა პარველობას და მისი მთავარი ოპონენტის, მოსკოველი ვ. მარჩუკის ჩათვით. სხვათა შორის, მეორე მძიმე წონის (110 კგ-ის ზევით) 5 ჩვენს ათლეტს, ოლიმპიურ ჩემპიონს ს. რახმანოვთან ერთად, დაძლეული აქვს საერთაშორისო სტანდარტის — 440 კგ და უფრო მეტი წონა.

სპარტაკიადის ჯილდოებისთვის მათთან ერთად იბრძოლებენ მსოფლიო ჩემპიონი ი. სარჭისიანი (სომხეთი), ს. არაქელოვი (რსფსრ), ვ. სოცი (უკრაინა), მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებულები ე. მაზანი (ყაზახეთი) და ლ. ტარანენკო (ბელორუსია), აგრეთვე სხვა ცნობილი ოსტატები. სამუშაოთდ, ტრავმის გამო გულაათთა ამ დათვლილებას გამოაკლდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ი. ვარდანიანი (სომხეთი) და მრავალ მიღწევათა მფლობელი ი. ზახარეევი (რსფსრ).

წინა, VII სპარტაკიადის შესვლისად, საზღვარგარეთელი ათლეტები ამ ტურნირშიც გამოდიან. „იზმაილოვოს“ სასახლის თაეზე ქვეშ ბრძოლაში ჩაებრძვიან 17 ქვეყნის წარმომადგენლები.

სპორტი მშვიდობაა!

მოსკოვში ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა სახელოვნო ხელოვნების საბჭოთა ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სახელოვნებაში“, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადას.

ექსპოზიციის თავისებური ეპიგრაფია მოსკოველ ხელოვანთა ო. სავოსტიანოსა და ბ. უსპენსკის „სპორტი — მშვიდობის ელჩი“.

გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა ჟანრის ათასზე მეტი ექსპონატი, მათ შორის უფრადების ოპუსის ვ. თოიძის „ჭიდაობა“, მოლდაველი, უკრაინელი, ლატვიელი მხატვრების ნამუშევრები.

დიდი გასაოცრებელი ეთმობა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს, რომელიც ოლიმპიადა-80-ის დღეებში სტუმართმოყვარულად ეგებებოდა პლანეტის უძლიერეს ათლეტებს — მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაულს.



ძალოსნობა. ორჭიდი. 82 კგ 1. ბ. რიგაცი — 250 კგ. 2. ა. სეზონენი (ორივე — უკრაინა) 242,5 კგ. 3. ვ. ბოგუცკი (უზბეკეთი) — 240, 4. კ. ოსმანალიევი (ყირგიზეთი) — 235, 5. ა. კოლოკოლცევი (რსფსრ) — 232,5, 6. ვ. პოლოსკინი (მოსკოვი) — 230.

ხელბურთი. შეხვედრები მე-13-მე-17 ადგილებისათვის. ვილნიუსი. **ქალები.** საქართველო — ყირგიზეთი 27:25, თურქმენეთი — ტაჯიკეთი 30:30, საქართველო — თურქმენეთი 27:26, სომხეთი — ტაჯიკეთი 35:28. **კაცები. ვაჟები.** ტაჯიკეთი — ყირგიზეთი 27:17, უზბეკეთი — თურქმენეთი 33:26.

მინსკი. საავტომობილო სპორტი. პირადი. საკორდო მოდელები. **1,5 კუბ სმ** მოცულობის ძრავიანი. 1. ვ. კრიგერი (რსფსრ), 2. ა. მედვედევი (ლენინგრადი), 3. ნ. ანტიპოვი (მოლდაველი).

2,5 კუბ სმ. 1. ვ. დორფმანი (მოსკოვი), 2. ჰ. ხვეტვეიჩი (რსფსრ), 3. ვ. პოპოვი (მოსკოვი);

5 კუბ სმ. 1. ვ. კუშტეროვი (რსფსრ), 2. ტ. კობახიე (საქართველო), 3. ი. დრანჭენკო (უკრაინა).

10 კუბ. სმ. 1. ვ. ფურსოვი (ლენინგრადი), 2. ვ. სოლოვიოვი (მოსკოვი), 3. ვ. გერასიმოვი (ლენინგრადი).

გუნდური. 1. რსფსრ, 2. ლენინგრადი, 3. საქართველო, 4. მოსკოვი, 5. უკრაინა, 6. აზერბაიჯანი.

მასობრივ შეჯიბრებათა შედეგები

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრულ VIII სპარტაკიადის მსჯავრთა კოლეგიამ შეაჯამა ძალებისა და სოფლების ფიზკულტურული კოლექტივების გამართული მასობრივ შეჯიბრებათა შედეგები. მოკვეთილ რესპუბლიკის სპორტკომიტეტების მობილიზებით სასპარტაკიადო სტარტები (სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში გამართულ შეჯიბრებათა გამოკლებით) გაიმართა 234 ათას ფიზკულტურულ კოლექტივში, მასობრივი შეჯიბრებების პეროიოდში 44 მილიონზე მეტმა კაცმა შეასრულა მშრომელთა ნორმატივები, 38 მილიონი თანრიგოსანი გახდა.

მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ გამოაქვეყნა საუკეთესო ფიზკულტურული ორგანიზაციები. მასში ბევრი სტარტების შედეგების მიხედვით ზაფხულის VIII სპარტაკიადის ლაურეატები გახდნენ: რსფსრ-ის, უკრაინის, უზბეკეთის, ლატვიის, ესტონეთის სამშობლო სოციალისტური რესპუბლიკების, მურმანსკის, კრასნოდარის მხარის, სვერდლოვის, ლვოვის, ხარკოვის, გომელის, ტაშკენტის, ფერგანის, აღმოსავლეთ ყაზახეთის, ყარაგანდის ოლქების კოლექტივები.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან საკავშირო სპორტკომიტეტის სამახსოვრო პრიზებით, გარდა ამისა, ქალაქებისა და რაიონების 660 საუკეთესო ფიზკულტურის კოლექტივს ეიმსახურება დიპლომები და დიპლომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკის გლეხნოგში

მოგებათა სსრ კავშირის 46-ე საგაზეთო ჩემპიონატის განვლილი ტურის ტექნიკური მონაცემები.

„ჩქაროსანი" — „შახტა-ჯორი" 0:1 (0:0). ბურთი მასპინძელთა კარში 79-ე წუთზე გაიტანა იაკუბიკმა.

დუბლიორები — 1:1.

„დინამო" (მინსკი) — „არარატი" 2:0 (1:0). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს პეტლშევმა და გურინოვიჩმა.

გაიფრთხილეს ერეკვნელი ფეხბურთელი ა.ბ. ხაჩატრიანი, გაფრთხილეს და შემდეგ მინდერიდან გაამეცეს მისი თანაგუნდელი ა. გალუსტიანი.

დუბლიორები — 2:0.

„შახტიორი" — „ნეფთჩი" 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს მოროზოვმა და იურჩენკომ.

გაიფრთხილეს შახტორიდან 'და ალიევი („ნეფთჩი"). მოროზოვი და მიხაილეშკი („შახტიორი").

დუბლიორები — 3:1.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „მეშაილისი" 3:2 (2:1). ტორპედოელთაგან 2 ბურთი გაიტანა ვასილიევმა (ერთი — პენალტით) და 1 — პეტრენკომ. სპასსუხო გოლების ავტორები ორად სუსლო და მოტეხი.

მატჩი ორშაბათ სპარიკველოს მსაჯთა კოლეგიის ბრეგადამ: ვ. მიქინოშვილი, გ. სეფიაშვილი, უ. ფურცელაძე (ყველანი — თბილისიდან).

დუბლიორები — 1:1.

„წინსარი" — „ენერგია" 0:1 (0:1). ბურთი გაიტანა მელნიკოვმა.

დუბლიორებს არ უთამაშიათ.

ცსკა — "დინამო" (კიევი) 4:1 (1:1). ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა კიეველმა ზავაროვმა. სპასუხო ბურთი გაიტანა კოლადკომ, შემდეგ კი ტორხანოვმა (რაჯერ) და გლუბოკოვმა დაიწინაურეს ცსკა-ს.

გაიფრთხილეს არმიელი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 2:0.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დეკალიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 24 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." ქ.	19	14	2	3	43-14	30
„დინ." მ.	19	13	4	2	28-10	30
„დინ." მნ.	20	11	7	2	39-23	29
ცსკა	20	8	7	5	32-24	23
„დინ." თბ.	20	9	4	7	23-15	22
„ქალგარ."	20	8	6	6	31-28	22
„ხენტი"	18	9	2	7	32-25	20
„მეტალ."	19	7	6	6	35-29	20
„ნეფთჩი"	20	7	6	7	27-27	20
„ჩერნომ."	19	6	6	7	30-29	18
„სპარტ."	19	5	7	7	30-37	17
„ფაზოპ."	20	4	9	7	22-35	17
„დნეპრი"	19	5	6	8	21-26	16
„ტორპ." მ.	20	5	5	10	20-33	15
„არარატი"	20	5	4	11	15-33	14
„შახტ."	20	5	3	12	18-24	13
„წინსარი"	18	4	5	9	18-30	13
„ტორპ." ქ.	20	5	1	14	20-42	11

გემბენ ფიდე-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას

კარადენ იტყობინებიან, რომ გაზეთმა „რუდე პრავომ" გააკრიტიკა ფიდეი-ს პრეზიდენტის ფ. კამპომანესის (ფილიპინები) გადაწყვეტილება პასადენსა და ატადობში პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების ჩატარების შესახებ.

გაზეთი წერს, რომ ფიდე-ს პრეზიდენტმა ისე განსაზღვრა შეხვედრათა ადგილები, რომ ანგარიში არ გაუწია ნახევარფინალისტების აზრს და არც თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა მათ.

ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიღებულია მატჩების პირობების საფუძველთან ანალიზის გარეშე და დიდოსტატთა აზრის უგულვებელყოფით, აღნიშნავს გაზეთი. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია სამართლიანად მოითხოვს ამ გადაწყვეტილების გადასინჯვას. პრეზიდენტის მიერ დასახელებული ქალაქები სათამაშო პირობების მხრივ არ პასუხობენ ფიდე-ს მოთხოვნებს. ჩეხოსლოვაკიის სპეციალურ კავშირმა დაგმო კამპომანესის მოქმედება.

თუ კი არ გამოძიებენ ნახევარფინალური მატჩების ყველა მონაწილისთვის სასურველი გამოსავალი, აღნიშნავს „რუდე პრავო", მაშინ ეს საკითხი ფიდე-ს კონგრესმა უნდა განიხილოს.

ასპარეზობენ დოსაფის სპორტსმენები

ბოგარდთა ბრიც

დამთავარდა მოზარდთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობა კარტინგის ტიპის სპორტული ავტომობილებით ასპარეზობაში.

გუნდურ ჩათვლაში 2 დღის დაძაბული და საინტერესო შეჯიბრების შემდეგ I ადგილი მოიპოვა რსფსრ-ს გუნდმა, II ადგილზე გავიდა ლატვიის, III — აზერბაიჯანის გუნდი. საქართველოს გუნდმა XIII ადგილი დაიკავა.

პირად ჩათვლაში „საკავშირო" კლასში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გიორგი ადეიშვილმა (წყვარნელი ფეიერო ბელოვან) პირველ და მეორე ეტაპზე შესაბამისად I და II ადგილი დაიკავა. მესამე ეტაპზე დიდი უპირატესობის მოპოვების შემდეგ სპორტსმენს ძრავის უმტყუნა და ფინიშის ხაზი უკანასკნელმა გადაკვეთა. სამი ეტაპის ჯამით I ადგილი დაიკავა ა. ანტონიომ (მოსკოვი), II ადგილი წილად ხვდა ადეიშვილს, III — ი. კაკაჩეს (რსფსრ).

ხ. ვარშანიანცი.

● ● ●

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ასპარეზობის ტრასაზე; გამარჯვებულთა ქვარცხლებზე.

ავტორის ფოტოები.



● კარტინგი

უეფა-ს კოეფიციენტი

6 ივლისს, როგორც ცნობილია, მიიწყო 1983-1984 წლების ევროპის საკლუბო საფეხბურთო ტურნირების წლისყოფა.

აი, ის კოეფიციენტები, რომლის მიხედვითაც ხდება უეფა-ს თასზე ცალკეული ქვეყნებიდან მონაწილე გუნდების რაოდენობის განსაზღვრა.

ჩემპიონთა და თასების თასზე კონტინენტის ყველა ქვეყანას თითო გუნდი გამოაქვს. მაგრამ უეფა-ს თასს გამკაცრილი ღირებულება აქვს. მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრა 1980 წლიდან აქ გარკვეული კოეფიციენტით ხდება, იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანას რა მიღწევები ჰქონდა კონტინენტისა საკლუბო ტურნირებში. კოეფიციენტის გამოთვლა ხდება ასეთი წესით: ჩათვლაში შედის თითოეული ქვეყნის ყველა გუნდის გამოსვლა სამიე ტურნირში. მოგებისთვის ენიჭება 2 ქულა, ფრედ დამთავრებული მატჩისთვის — 1, წაგებისთვის — 0. გარდა ამისა, ქულებს დამატებით დაერიცხებათ თითო ქულა მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში გასვლისთვის. ასე რომ, ფინალში გასული გუნდი დამატებით მიიღებს 3 ქულას. ყოველი ქვეყნის ქულებს მერე დაგროვილი ქულათა ჯამი გაიყოფა ამავე ქულებს რაოდენობაზე, მიღებული შედეგი კი კოეფიციენტი (იგი გამოთვლება მეათედამდე). დაბოლოგაკეთებულ. ბოლო 5 ჩათამაშებს მანძილზე მიღწეული კოეფიციენტი ჯამდება და ეფექტიანი საერთო შედეგს.

უეფა-ს მიერ დადგენილი წესებით თანამედან პირველ 3 ადგილზე გასული ქვეყნებიდან უეფა-ს თასზე გამოიკვეთნენ 4-4 გუნდს, შემდგომ 5 ადგილზე გასული ქვეყნები — 3-3 გუნდს, მეცხრედან ოცდამეერთეს ჩათვლით — 2-2 გუნდს, დანარჩენ ქვეყნებს უფლება აქვთ გამოიყვანონ მხოლოდ თითო გუნდი.

1983-1984 წლების უეფა-ს თასის გათამაშებაში, რომელიც დაიწყება მომდევნო წლის სექტემბერში, კოეფიციენტის ასეთია:

1. ბელგია	51,999	4
2. ინგლისი	37,902	4
3. პოლანდია	35,466	4
4. ესპანეთი	34,599	3
5. ბელგია	31,066	3
6. საფრანგეთი	29,550	3
7. გდრ	29,450	3
8. იუგოსლავია	28,800	3
9. სსრკ	25,966	2
10. ჩეხოსლოვაკია	24,050	2
11. შვეიცარია	22,150	2
12. იტალია	22,082	2
13. პორტუგალია	21,750	2
14. შოტლანდია	21,750	2
15. შვედეთი	19,500	2
16. რუმინეთი	16,750	2
17. ბულგარეთი	16,700	2
18. უნგრეთი	15,750	2
19. დანია	15,166	2
20. ავსტრია	13,750	2
21. ხმელთანეთი	12,500	2

თითო გუნდს გამოუვლენს: პოლონეთი — 11,850, ირლანდია — 8,999, ნორვეგია — 7,583, ალბანეთი — 5,500, ჩრ. ირლანდია — 4,999, თურქეთი —4,833, ისრაელი — 4,332, ლუქსემბურგი— 3,666, ისლანდია — 3,664, მალტა — 3,331, ფინეთი —2,499.

მას შემდეგ, რაც დამთავრდა 1982-83 წლების გათამაშება, ცნობილი გახდა თუ რომელი ქვეყანა რამდენი გუნდით წარმოდგება 1984-85 წლების გათამაშებაში (4-4 გუნდით — ინგლისი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, 3-3 გუნდით — იუგოსლავია, ბელგია, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, 2-2 გუნდით — პორტუგალია, პოლონეთი, ირლანდია, სსრკ კავშირი, გდრ, შვეიცარია, შვედეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, დანია, ავსტრია, დანარჩენ ქვეყნებს გამოიყვანენ თითო გუნდს).

წინამებრძოლი 1983-84 წლების გათამაშების შედეგების მნიშვნელობა ეჭნება შემდგომ, 1985-86 წლების უეფა-ს თასის გათამაშებაში (ალბათ ქვეყნებიდან გუნდების გამოყვანის რაოდენობაზე).

რ. შენგელია.

ფსკოვის ფეხბურთის ამბები

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" შორიგი, 30-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-ზე: 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 15 (ბაიდარათა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 31 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო 5 36"-ზე: 9 (საგზატკეცილო ველოსიპედოსანი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 19 (საბოლოპური რბოლა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი).

კალოგრაფა

● ფარიკაობა

ვენა, 23 ივლისი. ავსტრიის დედაქალაქში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული გახდა მინსკელი რაჰიმისტი ალექსანდრე რომანკოვი, რომელმაც ფინალში დაამარცხა მატიას გეი (გერ) 10:8. ეს არის რომანკოვის მეხუთე ოქროს მედალი მსოფლიო პირველობებში. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა პოლონელმა რაპირისტმა მარიან სიპენევიჩ.

● კალათბურთი

დღეს ბრაზილიაში იწყება კალათბურთელ ქალთა გუნდების IX მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობენ 14 ქვეყნის ნაკრები გუნდები. პირველ ეტაპზე შეჯიბრებაში ჩაებმება 3 ქვეჯგუფად დაყოფილი 12 გუნდი (ბრაზილიელები, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორები და ამჟ-ს ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი, შეხედრებს დაიწყებენ პირდაპირ ფინალურ ტურნირში).

„ა" ჯგუფში გამოვლენ კუბის, ბელგარეთის, პერუსა და სამხრეთ კორეის გუნდები. თამაშები ჩატარდება ქალაქ ბრაზილიაში.

„ბ" ჯგუფის კვარტეტი შეიგება ავსტრალიის, იუგოსლავიის, იაპონიისა და პოლონეთის გუნდებისაგან. თამაშები რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება. სსრ კავშირის ნაკრები „ც" ჯგუფში ითამაშებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სენეგალისა და კანადის გუნდებთან ერთად.

● ძალოსნობა

ნიცა. 20 წლის ბრაზილიელმა ჟოაკინ კრუშმა 800 მეტრი 1.44,31-ში დაფარა სადინარებიან ძალოსანთა მანძილზე მსოფლიო საერთაშორისო შეჯიბრებაში. "მეორე იყო ამერიკელი ჭიმმ რობინსონი — 1.44,47.

სპრინტერულ დისტანციებზე თავი გამოირჩინეს ამერიკელმა მელ ლიტენმა (200 მ — 20,33) და ბერტ კამერონმა (ყინულილი იამაიკა, 400 მ —45,03). ბარაღ შედგა (გერ) 400 მეტრზე თარჯიტებში 46,57 აჩვენა. 1500 მეტრის სიგრძეზეო იყო ინგლისელი სტივ კრემი — 3.35,68.

სიმაღლეზე მხტომელთა შორის გამარჯვება გაინაბერეს 19 წლის შვედმა პატრიკ შებერგმა და იტალიის „ხათთის" ჩემპიონმა კარლო ტრენპაროტმა (ვერ), რომელმაც 230 სმ სიმაღლე დაძლიეს. ალტიტუდი ჯელის ჯოკა ამერიკელმა მიკ კოლიმ — 17,03 მ.

ხენგელი. პოლანდიის ამ ქალაქში ცნელიმა რიჩარდ ტუკეიმ 3000 მ წინაღობებით 8.18,22-ში დაფარა. ეს მესამე შედეგია წლეულ მსოფლიო ტაბლიონებზე. (სანდეს).

რედაქტორი ა. ბასილაია.



ცეკავშირის გაზეთთა საცხენოსნო ტურნირმა მოუვარულთა საურადღებო ამბებს, რომ მიმდინარე წლის 25 ივლისიდან ვეტერანების სპორტში (ბარიერი, რაზმი, ხმხეთი) იხსნება საცხენოსნო ტურნირის უკანასკნელი.

მსურველებს შეუძლიათ ცხენით იმოკუთხის ბეისურების წვნის მიერ სოფელში და ისტორიულ ადგილებში. საცხენოსნო ტურნირის მოყვარულთა ყურადღებას მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ საჭირო წინასწარ დაფიქსრულ მათ ბილიეთებზე ცხენით სიარულს, ისწავლონ ცხენის აღვაზმულობის გაწყობა.

ქ. თბილისის ავიღრომის ადმინისტრაცია ვხედავ მოგზაურობისთვის მოამზადოს საცხენოსნო სპორტის ახალგაზრდობის — 98.97 58; ბიჭვრაულს — 98.97.26; წერილებს — 98.97.54; კორეტორები — 98.97.49; გამომწვევი — 98.98.51; ფოტოლაბორატორია — 98.97.58; შემპრენებები — 98.97.57.

გაზეთი გამოდის ოთხჯერ, ბარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 256936, თბილისი, ლენინის ქ. №14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 92-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 96-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 92-97-52; განყოფილებები: უეფბურთის — 99-51-71 98-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 92-97-55; სპორტის ეპოსავანდის — 98-97-51; მოსკოვი და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97 58; ჭადრაკის — 98-97-26; წერილები — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამომწვევი — 92-98-51; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; შემპრენებები — 98-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. №14. იბეჭდება ოპერატიული წესით. ს.ა. გაუთო კორპუსში, სოფაროვის. 29. ინდექს 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 07659